თბილისი 2018 წლის 7 მარტის

თსუ რექტორის 2018 წლის 18 იანვრის **N10/01-01** ბრძანებების - ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), 2018 წლის 18 იანვრის **N11/01-01** ბრძანებების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), 2018 წლის 18 იანვრის **N12/01-01** ბრძანებების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ - პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს **N82/2018** 2018 წლის 26 თებერვლის სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

,

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2.

<u>**სხდომას ესწრებოდნენ**</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
ბეჟან წინამძღვრიშვილი (თსუ პროფესორი) - მოადგილე
ზურაბ ჩხაიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი)
ია კივალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

<u>**დღის წესრიგი:**</u>

- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის დეპარტამენტის პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, მედიცინის დოქტორი სოფიო კახაძის მიერ გაკეთებული მოხსენება;

- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, მედიცინის დოქტორი მამუკა ჩხაიძის მიერ გაკეთებული მოხსენება;

- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ონკოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ

კონკურსში მონაწილე კანდიდატის, მედიცინის დოქტორი ირინე გაგუას მიერ გაკეთებული მოხსენება;

- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ადამიანის ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, მედიცინის დოქტორი ნანა გოიშვილის მიერ გაკეთებული მოხსენება.

<u>მოისმინეს:</u>
მედიცინის დოქტორი სოფიო კახაძის, მედიცინის დოქტორი მამუკა ჩხაიძის, მედიცინის დოქტორი ირინე გაგუას (skype - ით) და მედიცინის დოქტორი ნანა გოიშვილის მინი მოხსენება მათ მიერ მოპოვებული სამეცნიერო გრანტებისა და წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფციის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატებმა ასევე დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც ისინი სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

ბეჟან წინამძღვრიშვილმა და **ზურაბ ჩხაიძემ.**

მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ სოფიო კახაძის, მამუკა ჩხაიძის, ირინე გაგუას და ნანა გოიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ისინი ღირსეულ კანდიდატებად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 16 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ოთხივე წევრმა ხმა მისცა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის დეპარტამენტის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორი სოფიო კახაძის, თსუ მედიცინის ფაკულტეტზე გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე

მედიცინის დოქტორი მამუკა ჩხაიძის, თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ონკოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორი ირინე გაგუას და თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ადამიანის ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორი ნანა გოიშვილის არჩევას.

<u>**დაადგინეს:**</u>

1. დამტკიცდეს კენჭისყრის შედეგები;
2. მედიცინის დოქტორი სოფიო კახაძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის დეპარტამენტის პროფესორად;
3. მედიცინის დოქტორი მამუკა ჩხაიძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორად;
4. მედიცინის დოქტორი ირინე გაგუა არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორად;
5. მედიცინის დოქტორი ნანა გოიშვილი არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის ადამიანის ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორად.

კომისიის წევრების ხელმოწერა

_____

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

_____

ბეჟან წინამძღვრიშვილი (თსუ პროფესორი) - მოადგილე

_____

ზურაბ ჩხაიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი)

_____

ია კივალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი